განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართალი, მაგისტრატურა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 15-16.10.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 03.12.2020

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამართალი
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სამართლის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სამართალი, 0421
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული 23.09.2011 გადაწყვეტილება № 55

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ჯაყელი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაკა კარტოზია, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან მოსახლიშვილი, სს საქართველოს ენერგეტიკის ფონდი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	კონსტანტინე ებრალიძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

თსუ-ში სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში ხორციელდება 2011 წლიდან. რეაკრედიტაციისათვის წარმოდგენილი სამართლის სამაგისტრო პროგრამა აკრედიტებულ იქნა 2011 წლის 23 სექტემბერს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №55) 5 წლის ვადით. აღნიშნული ვადა საქართველოს მთავრობის დადგენილებით რამდენიმეჯერ გახანგრძლივდა და აკრედიტაციის მოპოვების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2021 წლის 15 მარტი.

სამართლის სამაგისტრო პროგრამა ეფუძნება საქართველოს ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და სამართლის დარგობრივი მახასიათებლების ძირითად მოთხოვნებს.

სამართლის სამაგისტრო პროგრამა აღწერს და განსაზღვრავს პროგრამის სახელწოდებას, უმაღლესი განათლების საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, კრედიტების რაოდენობას (120 კრედიტი), პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, სწავლება-სწავლის მეთოდებს, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემას, დასაქმების სფეროებს, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პროგრამის ადამიანურ რესურს და პროგრამის სტრუქტურას. პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურად არის დალაგებული - მასში საგანთა ლოგიკური ურთიერთკავშირია: პროგრამა იწყება შესავალი (გაცნობითი) სასწავლო კურსებით, რომელსაც მოყვება განმავითარებელი (გაღრმავების) სასწავლო კურსები და დამახელოვნებელი (განმამტკიცებელი) კომპონენტები. პროგრამა, შედგება სამი ნაწილისგან: სასწავლო კომპონენტები 90 კრედიტი (ECTS) - რომელთაგან სტუდენტმა უნდა შეასრულოს 60 კრედიტი, პრაქტიკული კომპონენტი 30 კრედიტი (ECTS) და კვლევითი კომპონენტი 30 კრედიტი (ECTS). სასწავლო კომპონენტები შედგება: A - სავალდებულო სასწავლო კომპონეტებისაგან (12 კრედიტი ECTS), B - საჯარო სამართლის მოდულისგან (48 კრედიტი ECTS); C - კერძო სამართლის მოდულისგან (48 კრედიტი ECTS) და D - სისხლის სამართლის მოდულისგან (48 კრედიტი ECTS).

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად განსაზღვრულია 120 კრედიტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა მუშაობა თსუ-ს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესაფასებლად განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 21 სექტემბრის (MES 1 20 0000868129) „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შესახებ“ ბრძანების შესაბამისად დისტანციურად 2020 წლის 15 და 16 ოქტომბერს. შეფასება განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით. შესრულდა ყველა

დაგეგმილი აქტივობა. დაწესებულებამ უზრუნველყო აკრედიტაციის ჯგუფის მუშაობისთვის ყველა საჭირო ან მოთხოვნილი პირობის შესრულება.

შეფასების მიმდინარეობისას გაუთვალისწინებელ ან ხელისშემშლელ ფაქტებს/ექსცესებს ადგილი არ ჰქონია.

შეფასება განხორციელდა სრულფასოვნად, კოლეგიალურ და საქმიან გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

მოწოდებული მასალების შესწავლის/შეფასების, ინტერვიუების და ასევე აკრედიტაციის შეფასების დროს მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფს ჩამოუყალიბდა დადებითი პოზიცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დისტანციური მუშაობის მეშვეობით დადგინდა, რომ პროგრამა სრულად შესაბამისობაშია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხუთივე სტანდარტთან:

№	სტანდარტი	შეფასება
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

გამოკვეთილი იქნა ერთი რეკომენდაცია და ხუთი რჩევა, რომელთა გათვალისწინება დადებითად აისახება სამართლის სამაგისტრო პროგრამის განვითარებასა და ეფექტურ განხორციელებაზე.

- **რეკომენდაციები**

პროგრამის შეფასების შედეგად გამოვლინდა შემდეგი რეკომენდაცია:

1. **2.4. სტანდარტთან მიმართებაში -** პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმის სრულყოფა, კერძოდ არ არის განსაზღვრული სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, რაც დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად სავალდებულო მოთხოვნაა, აღნიშნული ვალდებულება დადებული მემორანდუმების მიხედვით შემოიფარგლება მსურველი სტუდენტის შერჩევით და შესაბამისი სიის პარტნიორი ორგანიზაციისთვის გაგზავნით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის შეფასების შედეგად გამოვლინდა შემდეგი რჩევები:

1. **2.3. სტანდარტთან მიმართებაში** - შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის ნორმების შედარებითი ურთიერთკავშირის/თანაფარდობის დადგენაზე, განხილვასა და ანალიზის სწავლებაზე დაფუძნებული სასწავლო კურსის შემუშავება და პროგრამაში გათვალისწინება ან პროგრამაში არსებული სასწავლო კომპონენტების აღნიშნული მიმართულებით გაძლიერება.

2. **2.5. სტანდარტთან მიმართებაში** - ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით სტუდენტების ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად ინდივიდუალური პროგრამების შედგენის არსებული პრაქტიკის წესების სახით მკაფიოდ და ცხადად ჩამოყალიბება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

3. **2.6. სტანდარტთან მიმართებაში** - სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გამჭვირვალობის გაუმჯობესება, მიზანშეწონილია შემფასებლის მექანიზმის შემუშავება და დანერგვა;

4. **3.1. სტანდარტთან მიმართებაში** - მიზანშეწონილია გამარტივდეს სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმი, რაც სტუდენტებს ხელს შეუწყობს აქტიურად ჩაერთოთ სასწავლო პროცესში.

5. **4.3. სტანდარტთან მიმართებაში** - მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს ვერსია, რომელიც საშუალებას მისცემს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტების ისარგებლოს ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე გარედან.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

-

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პირველადი აკრედიტაციის დროს წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაციის ექსპერტთა შეფასების შედეგად მიიღო შემდეგი რეკომენდაციები:
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში უცხოენოვანი კომპონენტის გაძლიერება, რათა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად უზრუნველყოფილ იქნეს დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების პრეზრენტაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან უცხოურ ენაზეც საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;
- სასურველია კლინიკური კომპონენტების გაძლიერება, რაც განავითარებს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების უნარს.

ამას ემატება ცენტრის რეკომენდაციები, რომელიც განესაზღვრა დაწესებულებას:

- სასურველია, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსი იყოს უფრო ვიწრო და სპეციალური, და შინაარსობრივი თვალსაზრისით, მკვეთრად განსხვავდებოდეს ბაკალავრიატის დონეზე შეთავაზებული სასწავლო კურსებისაგან, რაც შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს ჰქონდეს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სწავლის შედეგების შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნა;

- სასურველია სამაგისტრო ნაშრომების დაცვის ხარისხის ამაღლება და საწყის ეტაპზე განსაკუთრებით ღირებული, მომავალში კი ყველა ნაშრომის გამოქვეყნებაზე ორიენტირება.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის დინამიკა შეიძლება წარმოდგენილი იქნას ორ ნაწილად. პირველი, ძველი, 2011 წლის სამართლის დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების მიმართ განხორციელებული ცვლილებები. მეორე, ახალი, 2020 წლის სამართლის დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის კორექტირება.

პირველი ნაწილთან დაკავშირებით სამართლის სამაგისტრო პროგრამაში, აკრედიტაციის მიღების შემდგომ, პირველი ცვლილება შევიდა 2017 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე. აღნიშნული ცვლილებების თანახმად სასწავლო გეგმაში დაემატა, შეიცვალა და ამოღებული იქნა ცალკეული სასწავლო კურსები, აკადემიური წერის კრედიტების რაოდენობა შემცირდა 10 კრედიტამდე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში 30-დან 40-მდე კრედიტამდე გაიზარდოს იმ სავალდებულო კრედიტების ოდენობა, რომლებიც სტუდენტმა უნდა დააგროვოს იმ მიმართულების საგნებით, რა მიმართულებითაც ასრულებს კვლევით კომპონენტს. ცენტრის რეკომენდაციასთან დაკავშირებით: „სასურველია სამაგისტრო ნაშრომების დაცვის ხარისხის ამაღლება და საწყის ეტაპზე განსაკუთრებით ღირებული, მომავალში კი ყველა ნაშრომის გამოქვეყნებაზე ორიენტირება“, დაწესებულებამ ადმინისტრაციულ ღონისძიებებთან ერთად გააუმჯობესა სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობისა და დაწესებულების პერიოდულ გამოცემებში მათი ჩართულობის უზურნველყოფა და წახალისება.

მეორე ნაწილთან დაკავშირებით, 2020 წელს, სამართლის ახალი დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების შემდგომ, განახლებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების გადაწყობა. შედეგად, რეაკრედიტაციისთვის წარმოსადგენ სამართლის სამაგისტრო პროგრამაში კვლავ განხორციელდა ცვლილებები. წარმოდგენილ პროგრამაში მოქნილი და მკაფიო გახდა მოდულების მიხედვით სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების დაყოფა, ჩანაცვლდა, დაემატა და ამოღებული იქნა ცალკეული სასწავლო კომპონენტები, პრაქტიკული კომპონენტი ჩამოყალიბდა იურიდიული კლინიკის სახით და მოდიფიცირებული იქნა სასწავლო კურსი „აკადემიური წერა იურისტებისათვის“, რომელიც ჩამოყალიბდა „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“-ს სახით.

დაწესებულებას პირველადი აკრედიტაციის შედეგად განსაზღვრული რეკომენდაციები არსებითად გათვალისწინებული და ასახული აქვს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლისა და დამუშავების, აგრეთვე აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებისას მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ეროვნული და უცხოური სამართლის მიღწევების, მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების, თანამედროვე ეროვნული კანონმდებლობის განვითარების ტენდენციების, ქართული სამართლის განვითარებაზე ევროკავშირის სამართლის გავლენის, პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის მეთოდოლოგიური პრინციპების, იურიდიული მეცნიერების აქტუალური პრობლემების, იურიდიული კვლევის მეთოდების, აკადემიური პატიოსნების წესების, აკადემიური ეთიკის საკითხების, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითადი პრინციპების, სამოსამართლო სამართლის, როგორც სამართალშემოქმედების აქტის, ასევე სამოსამართლო ეთიკის წესებისა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებების შესახებ; გამოუმუშავოს მოქმედი კანონმდებლობის, თანამედროვე ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის, საკანონმდებლო ნოვაციების, უახლესი მეცნიერული კვლევების ანალიზისა და ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე საკუთარი კომპლექსური და ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების შემუშავების უნარი; გამოუმუშავოს პროფესიულ დონეზე საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის ნორმების განმარტების, სტრატეგიულ მიდგომების და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზების გამოყენების, კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებების, არასტანდარტული სამართლებრივი სიტუაციების შეფასების, სამართლებრივი ხარვეზების მოძიების და პრაქტიკაში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავების უნარი; გამოუმუშავოს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემის ამოცნობის, მისი გადაწყვეტის შესაბამის სამეცნიერო გზების შემუშავების, კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის

აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო კვლევით პროცესის დაგეგმვის და სამეცნიერო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შემუშავების უნარი; გამოუმუშავოს აკადემიური, კომპლექსური და პროფესიული საზოგადოებისათვის საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების ქართულ და უცხოურ ენებზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) წერითი და ზეპირი ფორმით გაზიარების უნარი; გამოუმუშავოს სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის უცხოური სამართლებრივი საინფორმაციო რესურსებიდან, პირველადი მონაცემების, უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი; გამოუმუშავოს აკადემიური პატიოსნების წესების, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგების, პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვისა და პროფესიული ცოდნის, სამართლებრივი პრაქტიკისა და სამართლებრივი ღირებულებების განვითარების უნარი. უზრუნველყოს იურიდიული განათლების თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია იურიდიული ფაკულტეტის მისიასთან იყოს ლიდერი სამართლის სწავლებასა და კვლევაში, დააკავშიროს აკადემიური საზოგადოება კაუტელარულ იურისპრუდენციასა და პროფესიულ პრაქტიკასთან, მოამზადოს კრიტიკული აზროვნების მქონე, თანამედროვე ცოდნითა და ეთიკის მაღალი სტანდარტით აღჭურვილი პროფესიონალი, რომელიც შეძლებს პირადი პასუხისმგებლობის გრძნობით სამართლის უზენაესობის დაცვასა და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაში ღირებული წვლილის შეტანას.

პროგრამაში გაწერილი მიზნები რეალური, მიღწევადი და გაზომვადია, კავშირშია სწავლის შედეგებთან და ასახავს თუ რა ტიპის სპეციალისტის მომზადებისკენაა მიმართული. კურიკულუმის შინაარსი თანხვედრაშია პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან, საგნების სპეციფიკა და მათში გაწერილი მიზნები შეესატყვისება პროგრამის მიზნებს. პროგრამის მიზნები ასევე შესაბამისობაშია სამართლის დარგობრივი მახასიათებლებთან. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა თანხვედრაშია თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმასთან და იურიდიული ფაკულტეტის ძირითად ამოცანებთან და სტრატეგიულ ხედვასთან უზრუნველყოს იურიდიული განათლების თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. აგრეთვე, პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულია შრომის ბაზრის ანალიზი.

სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (19 პროფესორი, 27 ასოცირებული პროფესორი, 12 ასისტენტ-პროფესორი) და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები (37 მოწვეული სპეციალისტი/პროფესორი), რომელთაც აქვთ სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება, რაც შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან.

უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციაზე, რასაც ადასტურებს უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული მემორანდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე საერთაშორისო კონფერენციების მოწყობა უცხოელი და პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური პერსონალის ჩართულობით. სამართლის სამაგისტრო პროგრამა არის საჯარო, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ყველასათვის ხელმისაწვდომია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; • სამართლის სამაგისტრო პროგრამა; • მემორანდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან; • აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან ბმაში; • სამართლის სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა; • საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების პროცედურა; • უნივერსიტეტის ვებგვერდი - https://www.tsu.ge/
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშში. პროგრამით განსაზღვრული და თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით დაგეგმილი მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს როგორც შესაბამისი თემატიკა და სახელმძღვანელოები, ისე მატერიალური და ადამიანური რესურსი, შესაბამისი დარგობრივი უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული სწავლების/სწავლის მეთოდოლოგია, შეფასების სისტემა. შეფასების ფორმების და კრიტერიუმების შერჩევა ხდება მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით. პროგრამას გააჩნია ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები. იგი მოიცავს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას და რომელიც გათვალისწინებულია დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს, რასაც ადასტურებს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა მიერ ჩაბარებული სასერტიფიკატო გამოცდების შედეგები. სამართლის ფაკულტეტზე 2018 წლიდან ფუნქციონირებს სამართლის სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, სტუდენტები, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები და ა.შ. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩაბმული ყველა პირისთვის ცნობილია სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზნები, შედეგები, შეფასების მეთოდები და ფორმები, რაც დადასტურდა ინტერვიუების დროს. ფაკულტეტს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, სადაც აღწერილია როგორც შეფასების პროცესი, ასევე მეთოდები, ინსტრუმენტები და სამიზნე ნიშნულები, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სამართლის სამაგისტრო პროგრამის შეფასება. პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდა **პირდაპირი** (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი) და **არაპირდაპირი** მეთოდებით (კურსდამთავრებულებისა და მაგისტრანტების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები). პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მექანიზმის შემადგენელია პროგრამის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა და განსაზღვრული სამიზნე ნიშნულის მიღწევის კონტროლი. პროგრამის სწავლის შედეგების ირიბი მექანიზმების გამოყენების შედეგად მიღებული შედეგების შეფასების ანალიზი ფაკულტეტზე ხორციელდება, ხოლო მიღებული ანალიზის შედეგად მუშავდება რეკომენდაციები, რომელიც პროგრამაში ცვლილების

განხორციელებისთვის დადგენილი პროცედურების მიხედვით განიხილება დაინტერესებულ პირთა ჩართულობით. სწავლის შედეგების შეფასების, ასევე დარგობრივი მახასიათებლების ცვლილების საფუძველზე სამართლის სამაგისტრო პროგრამამ განიცადა ცვლილებები 2017, 2018 და 2020 წელს. სამართლის სამაგისტრო პროგრამამ ორჯერ გაიარა (2017, 2019) ქართველი და უცხოელი ექსპერტების განმავითარებელი შეფასება და მისი შედეგები გათვალისწინებული იქნა პროგრამის განვითარებისთვის, ასევე განხორციელდა სამართლის სამაგისტრო პროგრამის დადარება ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტის სამართლის პროგრამის მოთხოვნებთან, რის შედეგადაც, ძირითადი პროგრამული ტენდენციების თანხვედრა გამოიკვეთა. პროგრამაში მონაწილე პერსონალის კვალიფიკაციიდან და შესაძლებლობებიდან, ასევ სასწავლო საგნების შინაარსიდან, სილაბუსებიდან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა რეალისტურია და შეესაბამება საბოლოოდ მისანიჭებელ კვალიფიკაციას; შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას; სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე. ასევე შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; • სამართლის სამაგისტრო პროგრამა; • აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; • შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; • კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები; • კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი; • უნივერსიტეტის ვებგვერდი - https://www.tsu.ge/
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება
☑ **<u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ჩამოყალიბებულია საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 მუხლში, რომლის თანახმად სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და B2 დონის უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ენისა და სპეციალობის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე. ასევე გათვალისწინებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე და უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვის შესაძლებლობა. ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის კუთხით მნიშვნელოვანია პროგრამით შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხების/ტესტების და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმების, უნივერსიტეტის ვებგვერდზე, გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე, გამოქვეყნების გათვალისწინება. წარმოდგენილი პირობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამაზე წინაპირობების დაცვით მიღების რეგულაციები, კერძოდ აკადემიური საბჭოს ისეთი დადგენილებები, როგორიცაა: N58/2010, 25.06.10 „ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემის (ECTS) შემოღებამდე გავლილი უმაღლესი განათლების სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების შესახებ“, „უცხოეთში სწავლის პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“, 2012 წლის 5 ნოემბრის №105/2012 დადგენილება; „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის ფარგლებში გადმოსულ და აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ 2012 წლის 10 აგვისტოს №74/2012 დადგენილება. წინაპირობების შესახებ ინფორმაცია პროგრამასთან ერთად განთავსებულია თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ვებგვერდზე და თავისუფლად ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი - https://www.tsu.ge/ka/faculty/%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98/programs/223;

- თსუ აკადემიური საბჭოს 25.06.10-ის „ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემის (ECTS) შემმოღებამდე გავლილი უმაღლესი განათლების სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭების შესახებ“ № 58/2010 დადგენილება;
- თსუ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 5 ნოემბრის №105/2012 „უცხოეთში სწავლის პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილება;
- „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის ფარგლებში გადმოსულ და აღდგენილ სტუდენტთა კრედიტების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ 2012 წლის 10 აგვისტოს №74/2012 დადგენილება.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ში შემუშავებულია და მოქმედებს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №100/2019 დადგენილება „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“, რომელშიც განსაზღვრულია პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული პროცედურული, ტექნიკური და კონცეპტუალური საკითხები. აღნიშნული დებულების დანართები (სულ 17 დანართი) დეტალურად აწესრიგებენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორიცაა: პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო კომპონენტების სილაბუსის სტრუქტურა და

მოთხოვნები, პროგრამის შეფასების მექანიზმები და ინსტრუმენტები, ცვლილების განხორციელების წესები, ხელმძღვანელის უფლება/მოვალეობები, თვალსაჩინო და სარეკომენდაციო ფორმები, ერთობლივი პროგრამების შექმნისა და განხორციელების პირობები, პროცედურები და ბიუჯეტის შედგენის ფორმა და სხვ. მასში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებული პირების მონაწილეობას და შესაბამის მექანიზმებს/ინსტრუმენტებს.

სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელებისას შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის ეფექტურობა. გაანალიზებული იქნა პროგრამის შემუშავების პროცესში წარმოებული საბუთები, შეფასებული იქნა მათი შესაბამისობა ზემოთ აღნიშნულ პროცედურასთან. ინტერვიუების მეშვეობით გადამოწმებული იქნა მოქმედი მარეგულირებელი აქტისადმი ყველა დაინტერესებული პირების ხელმისაწვდომობა, ცნობადობა და გამოყენებადობა.

პროცედურის თანახმად პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებული პირების ჩართულობასა და პროგრამის დამტკიცებამდე ყველა პროცედურის შესრულებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი.

საბოლოო დამტკიცებამდე პროგრამა გადის პროცედურით გათვალისწინებულ პროცედურებს, რომლებსაც სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები და სამუშაო ჯგუფები ასრულებენ, კერძოდ ისეთები როგორც ფაკულტეტის ხარისხის სამსახური, პროგრამის განვითარების მხარდამჭერი ჯგუფი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, გარე შემფასებლები, დამსაქმებლები და სხვ. ყველა აღნიშნული პროცედურის გავლისა და დადებითი შეფასებების მიღების შემდეგ პროგრამას საბოლოოდ აკადემიური საბჭო ამტკიცებს.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის თანდართულ მასალებში იძებნება სამართლის საბაკალავრო, საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო, სამართლის სამაგისტრო და საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის ოქმები, რომლებშიც იკვეთება მოქმედი მარეგულირებელი აქტის ეფექტური მოქმედება.

მკაფიოდ ჩანს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების კომპლექსური, თანმიმდევრული და ეფექტური მუშაობა.

სტრუქტურული და შინაარსობრივი ელემენტები შეესაბამება წარმოდგენილი მარეგულირებელი აქტის პირობებსა და მოთხოვნებს. დაცულია სტრუქტურა, პროცედურული წესები, განხორციელებული სააკრედიტაციო, შიდა და გარე შეფასების დებულებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად (ECTS). სტრუქტურულად და შინაარსობრივად პროგრამა ჩამოყალიბებულია მოდულების სახით, შეიცავს სავალდებულო და არჩევით/თავისუფალ კომპონენტებს და კვალიფიკაციის მოსაპოვებლად ითვალისწინებს 120 ECTS - კრედიტის პროგრამაში დადგენილი წესებით დაგროვებას. კერძოდ, სასწავლო კომპონენტს ეთმობა 90 კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომს - 30 კრედიტი. სასწავლო კომპონენტებიდან სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობა 12 კრედიტია, რომლის მეშვეობითაც სტუდენტი შეიძენს ღრმა და სისტემურ ცოდნას ა) სამართლის რომანულ-გერმანული და ანგლო-ამერიკული სისტემების, კანონმდებლობის განუსაზღვრელობისა და ხარვეზების, მოსამართლეობრივი დამოუკიდებლობის, მოსამართლეთა ქცევის

ძირითადი პრინციპების, მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების (დამოუკიდებლობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, პატიოსნება, ეთიკური ნორმების დაცვა, თანასწორობა, კომპეტენტურობა და გულმოდგინება), სამოსამართლო ეთიკის წესების, საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსის მიზნებისა და ამოცანების, დისციპლინური სამართალწარმოების, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ; ბ) სამეცნიერო კვლევის, კვლევის მეთოდების, კვლევის დაგეგმვისა და საკვლევი თემატიკის განსაზღვრის, ნაშრომის ზოგადი სტრუქტურისა და მისი შემადგენელი ნაწილების, სამეცნიერო წყაროების მოძიებისა და დამუშავების, ციტირების ტექნიკის, ციტირების სტილის, სტილისტიკისა და კვლევის ენის, წყაროთა ანალიზისა და სამეცნიერო თარგმანის, ნაშრომის ტექნიკური სტანდარტისა და ფორმალური მოთხოვნების, ასევე აკადემიური პატიოსნების წესების, პლაგიატიზმის აკრძალვისა და აკადემიური ეთიკის შესახებ.

პროგრამა შედგება: სავალდებულო სასწავლო კურსები - 12 ECTS (A); საჯარო სამართლის მოდულის 48 ECTS (B), კერძო სამართლის მოდულის 48 ECTS (C), სისხლის სამართლის მოდულის - 48 ECTS (D). სავალდებულო სასწავლო კურსებიდან სტუდენტს შესაძლებლობა აქვს კონცენტრაცია მოახდინოს ერთ-ერთი მიმართულებით. კონკრეტული მოდულის არჩევის შემთხვევაში მან უნდა დააგროვოს შემდეგი კრედიტები, მაგალითად, საჯარო სამართლის მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 18 კრედიტი, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსებს ხარჯზე - 30 კრედიტი.

პროგრამა უშვებს სტუდენტის ისეთ თავისუფლებას, რომ მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად, სტუდენტმა 6 კრედიტი შეიძლება დააგროვოს კერძო სამართლის ან სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე. ანალოგიურია სისხლის სამართლისა და კერძო სამართლის მოდულის შემთხვევაშიც. თითოეულ მოდულს პროგრამით გაწერილი შესაბამისი მიზანი და აქვს შედეგი. მომდევნო და ბოლო სასწავლო შემადგენელი ნაწილია პრაქტიკული კომპონენტი.

პროგრამის სტრუქტურული ნაწილი, სასწავლო გეგმა ითვალისწინებს თითოეული სასწავლო კომპონენტის მიმართ მასზე დაშვების წინაპირობას (ასეთის არსებობის ან საჭიროების შემთხვევაში (პროგრამის მე-12 გვ.), წარმოდგენილ პროგრამაში წინაპირობა გააჩნია მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომს (LAWM2006), იმისათვის, რომ კვლევით კომპონენტზე სტუდენტი დაიშვას, მას ათვისებული უნდა ქონდეს „სამოსამართლო სამართალი და სამოსამართლო ეთიკა“ (LAWM2001) და სასწავლო კომპონეტებიდან 80 ESTC. ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ კვლევითი კომპონენტის წინაპირობად განსაზღვრული არ არის პროგრამით გათვალისწინებული ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსი, როგორიცაა „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“ (LAWM2002). სავარაუდოდ ადგილი აქვს ტექნიკურ ხარვეზს, რომელიც დაშვებულია კოდებით წინაპირობის განსაზღვრას. „სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი“ შემოიფარგლება ზოგადი ხასიათის შემზღუდველი პირობით, რომელიც ადგენს, რომ „სამაგისტრო ნაშრომის და რეგისტრირების უფლება წარმოეშობა სტუდენტს, რომელსაც სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში დაგროვილი აქვს მინიმუმ 80 კრედიტი“ („სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო

პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი-ის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტი).

ზოგადად პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კომპონენტების დიდი არჩევანი ამარტივებს და მინიმუმამდე დაჰყავს წინაპირობის გამოყენების აუცილებლობას, ვინაიდან პროგრამის სასწავლო კურსები, თავისი შინაარსით, წარმოადგენენ ავტონომიურ, კონკრეტული საკითხების, მიმართულების ფარგლებში კონცენტრირებულ სასწავლო მასალას და არ საჭიროებენ შემდგომ გაგრძელებას სასწავლო მიზნებისთვის. აქედან გამომდინარე, პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული, რაც უზრუნველყოფს შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების ადეკვატურობას.

თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის შინაარსი შეესაბამება დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის სწავლებისა და სწავლის მეთოდები ადეკვატურია დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებთან მიმართებაში.

სასწავლო კომპონენტების სილაბუსებში მკაფიოდ არის გამიჯნული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, რომლებშიც მითითებულია უახლესი წყაროები. სააკრედიტაციო განაცხადის თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ დაწესებულება ყოველწლიურად უზრუნველყოფს პროგრამის საჭიროების მიხედვით ძირითადი სასწავლო და ცალკეული დამატებითი, დამხმარე სასწავლო მასალების შესყიდვას/განახლებას. გარად ამისა პროფესორ მასწავლებლების პერსონალური ბიოგრაფიული მონაცემებიდან (CV-დან) და ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო პუბლიკაციებიდან ჩანს, რომ სწავლება ხორციელდება უახლესი ინფორმაციის დამუშავების, კვლევის შედეგად მიღებული აქტუალურ ცოდნაზე დაყრდნობით.

პროგრამის შინაარსის, სასწავლო კურსების მოცულობის, კომპლექსურობის, ანალიზი ცხადყოფს, რომ უზრუნველყოფილია მათი თავსებადობა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან, რაც იძლევა საფუძვლიან მოლოდინს, რომ პროგრამის წინაპირობის დაძლევის შედეგად ჩარიცხული პირისთვის პროგრამა დაძლევადია.

პროგრამაში ინტეგრირებული (პროგრამის მიზნებისა და შედეგების, კურიკულუმის) რუკები ნათლად წარმოაჩენს თითოეული მიზნის, შედეგის, სასწავლო კომპონენტის სიღრმის გათვალისწინებით მიღწევის შესაძლებლობას.

აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №100/2019 დადგენილების თანახმად რეგულარულად ხდება დაინტერესებული პირების გამოკითხვა და შედეგების ანალიზი, რომელიც შემდგომ მიემართება პროგრამის განვითარებისკენ.

პროგრამის მიზნებით დასახულია ნიშნულები სტუდენტს „გამოუმუშავდეს, პროფესიულ დონეზე საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის ნორმების განმარტების, სტრატეგიულ მიდგომების და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზების გამოყენების, კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებების, არასტანდარტული სამართლებრივი სიტუაციების შეფასების, სამართლებრივი ხარვეზების მოძიების და პრაქტიკაში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავების, აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემის ამოცნობის, მისი გადაწყვეტის შესაბამის სამეცნიერო გზების შემუშავების, კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო-კვლევით პროცესის დაგეგმვის და სამეცნიერო კვლევითი

პროექტის/ნაშრომის შემუშავების უნარი. აღნიშნული მიზნის მისაღწევად პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია კერძო, სისხლის და საჯარო სამართლის მოდულები, რომლებიც შედგებიან სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტებისგან. პროგრამის განხორციელების სპეციფიკა ორიენტირებულია სტუდენტის ინტერესზე და შესაძლებლობაზე უზრუნველყოს თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობა. მთლიანობაში, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სავალდებულო და არჩევითი კომპონენტები, მოდულები, მათი მოცულობა, თანმიმდევრობა, ბალანსი და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების სამაგისტრო საფეხურს, შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. უსდ-ბა ვებგვერდისა და სხვა ხელმისაწვდომი (სოციალური, სხვა სტუდენტი/მეგობრები, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, პროფესორ-მასწავლებლები) ქსელების მეშვეობით უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილება „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“; • სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • პროგრამის ბიუჯეტი; • პოგრამაში ჩართული პირების CV-ები; • პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის 2018, 2019 და 2020 წლის ოქმები; • „სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი; • თსუ-ის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია; • გამოკითხვების სტატისტიკური შედეგები; • პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები; • უნივერსიტეტის ვებგვერდი - https://www.tsu.ge/
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შემადგენელი კომპონენტების სტრუქტურა, შინაარსი და განხორციელების თავისებურებები დეტალურად არის გაწერილი შესაბამის სილაბუსებში, რომელიც შედგენილია თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №100 „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მე-4 დანართის სანიმუშო ფორმას. მოთხოვნის თანახმად მასში ასახული უნა იქნას ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა: სასწავლო კურსის სახელწოდება, ავტორი, ლექტორი, სასწავლო კურსის სტატუსი, მიზნები, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (ECTS), დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი (ძირითადი თემები), სწავლების/სწავლის მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა, დამატებითი ინფორმაცია/პირობები. პროგრამა აგებულია 6 კრედიტიანი მოდელით, სასწავლო კურსები ან 6 კრედიტიანია ან 6-ის ჯერადია. პროგრამის მხარდაჭერის ჯგუფის 2020 წლის 7 მაისის №1 ოქმი შეიცავს ინფორმაციას ცალკეული საგნების საკრედიტო (ECTS) მოცულობისა და მათი მიზანშეწონილობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსები შედგენილია აკადემიური და პროგრამის განხორციელებაში ჩართული სხვა პირების მონაწილეობით სასწავლო კურსების თავისებურებების გათვალისწინებით და ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, მაინც რჩება უკმარისობის განცდა რამდენად დასაბუთებულია და გამართლებულია პროგრამის აწყობა სრულად ექვს კრედიტიანი მოდელით (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის დროში სასწავლო კურსების საათობრივი მოცულობის სხვაობა 16 საათს არ აღემატება). აღნიშნული გარემოება, იმის გათვალისწინებით, რომ თითოეულ სასწავლო კურსში საკრედიტო მოცულობა

განსაზღვრულია ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის № 3 ბრძანების გათვალისწინებით, ფორმალური მოთხოვნების მხრივ საჭიროებს ნორმატიულ ჩარჩოში მოქცევას.

სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად არის ჩამოყალიბებული ინფორმაცია შინაარსის, კრედიტების მოცულობის (მათ შორის სტუდენტის სააუდიტორიო და დამოუკიდებელი მუშაობის დროის მითითებით), მიზნების, ცოდნის შეფასების, სწავლის შედეგების და ლიტერატურის შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული აკრედიტაციის სახელმძღვანელოს მიხედვით შედგენილი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების კურიკულუმის რუკა, რომელიც წარმოაჩენს თითოეული სასწავლო კომპონენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგებთან თანხვედრას და ცოდნის სიღრმეს.

საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნებისთვის წარმოდგენილ მასალებში (მხარდამჭერი ჯგუფის ოქმებში, სტატისტიკურ მონაცემებში და ინტერვიუებიდან) ნათლად არის წარმოჩენილი სურათი, რომლის თანახმად აკადემიური პერსონალი და სხვა დაინტერესებული პირები აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსების, მათი მიზანშეწონილობის, შინაარსის საკითხის განსაზღვრის პროცესში.

წარმოდგენილი მასალებიდან, მათი ანალიზიდან ირკვევა, რომ დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, მარეგულირებელი აქტები ქმნიან სიტემას და მექანიზმებს/ინსტრუმენტებს, რომლის მეშვეობით შესაძლებელი ხდება თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან, სასწავლო კურსის შინაარსის იმავე სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების უმაღლესი განათლების შესაბამის (ამ შემთხვევაში სამაგისტრო) საფეხურთან თანხვედრის, სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობის/მოცულობის იმავე სასწავლო კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან, სილაბუსში მითითებული სავალდებულო და სხვა სასწავლო მასალების კურსის სწავლის შედეგებთან თანხვედრა/შესაბამისობა და დადარების უზრუნველყოფა. პროგრამის შემადგენელი სასწავლო კომპონენტების შინაარსი, თემატიკა ჩამოყალიბებულია უმაღლესი განათლების მეორე, სამაგისტრო დონის სიღრმისეული, ანალიტიკური ცოდნის გათვალისწინებით. სავალდებულო სასწავლო კურსის შინაარსი თემატურად და სიღრმისეულად ესადაგება სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს დეტალიზებულ და გაღრმავებულ (საბაკალავროს შემდგომი) ცოდნას, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სასწავლო კურსების შინაარსი ეფუძნება სამართლის დარგობრივი მახასიათებლებით დადგენილ სწავლის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობას უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურთან, მაგისტრატურასთან. ამ კუთხით ყურადღებას იმსახურებს სამართლის სამაგისტრო საფეხურის დარგობრივი მახასიათებლის სწავლის შედეგების უნარის ნაწილში ჩანაწერი: „განმარტავს სამართლის ნორმებს პროფესიულ დონეზე, შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის ნორმების შედარებითი ურთიერთკავშირის საფუძველზე“. მართალია პროგრამის შემადგენელი სასწავლო კომპონენტები (ძირითადში უფრო არჩევითი სასწავლო კურსები: ადამიანის უფლებები და

სასამართლო პრაქტიკა, გარემოს დაცვის სამართალი) ინტეგრირებული სახით ითვალისწინებენ აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევის თემატიკას, მეთოდებსა და აქტივობებს. თუმცა შედეგი, სასწავლო კურსების არჩევითობიდან, ფრაგმენტულობიდან და დარგობრივი სპეციფიკის შეზღუდულობიდან გამომდინარე, ვერ იქნება ისეთი ეფექტური, როგორც სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილი სასწავლო კურსით სწავლების შემთხვევაში. კონცენტრირებული სახით, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის შედარებასა და თანაფარდობაზე დაფუძნებული სწავლება, სტუდენტს გარანტირებულად დაეხმარება, პროფესიულ დონეზე, საერთაშორისო სამართლის თავისებურებების გათვალისწინებით, დაეუფლოს სამართლის ნორმების განმარტების უნარს.

პროგრამის მე-5 მუხლი ეძღვნება სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემას. მასში მოცემულია, რომ პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. ყოველივე აღნიშნული დეტალიზებულად და თავისებურებების გათვალისწინებით გაწერილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

თითოეული სასწავლო კომპონენტის სილაბუსებში მითითებულია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, რომლებიც უახლესი წყაროები. სააკრედიტაციო განაცხადის თანდართული მასალებიდან ირკვევა, რომ დაწესებულება ყოველწლიურად უზრუნველყოფს პროგრამის საჭიროების მიხედვით ძირითადი სასწავლო და ცალკეული დამატებითი, დამხმარე სასწავლო მასალების შესყიდვას/განახლებას. გარად ამისა პროფესორ მასწავლებლების პერსონალური ბიოგრაფიული მონაცემებიდან(CV-დან) და ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო პუბლიკაციებიდან ჩანს, რომ სწავლება ხორციელდება უახლესი ინფორმაციის დამუშავების, კვლევის შედეგად მიღებული

აქტუალურ ცოდნაზე დაყრდნობით. მთლიანობაში სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს და ასევე ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში/დარგში და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილება „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“; • სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის 2018, 2019 და 2020 წლის ოქმები; • გამოკითხვების შედეგები; • თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშიბარსელონას ავტონომიურ უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ; • სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; • სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; • სტუდენტთა გამოკითხვების ანალიზი და საგნობრივი და სემესტრული შედეგების ანალიზი; • სასაწავლო კურსების სწავლის შედეგების (მიღებული შეფასების) შეფასების შედეგები; • პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის ნორმების შედარებითი ურთიერთკავშირის/თანაფარდობის დადგენაზე, განხილვასა და ანალიზის სწავლებაზე დაფუძნებული სასწავლო კურსის შემუშავება და პროგრამაში გათვალისწინება ან პროგრამაში არსებული სასწავლო კომპონენტების აღნიშნული მიმართულებით გაძლიერება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის დინამიკა 2.3 სტანდარტის ნაწილში, შეიძლება წარმოდგენილი იქნას ორ ნაწილად. პირველი, ძველი, 2011 წლის სამართლის დარგობრივი

მახასიათებლების შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების მიმართ განხორციელებული ცვლილებების სახით, ხოლო მეორე, ახალი, 2020 წლის სამართლის დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის კორექტირება.

პირველი ნაწილთან დაკავშირებით სამართლის სამაგისტრო პროგრამაში, აკრედიტაციის მიღების შემდგომ, პირველი ცვლილება შევიდა 2017 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე. აღნიშნული ცვლილებების თანახმად სასწავლო გეგმაში დაემატა, შეიცვალა და ამოღებული იქნა ცალკეული სასწავლო კურსები, აკადემიური წერის კრედიტების რაოდენობა შემცირდა 10 კრედიტამდე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში 30-დან 40-მდე კრედიტამდე გაიზარდოს იმ სავალდებულო კრედიტების ოდენობა, რომლებიც სტუდენტმა უნდა დააგროვოს იმ მიმართულების საგნებით, რა მიმართულებითაც ასრულებს კვლევით კომპონენტს. ცენტრის რეკომენდაციასთან დაკავშირებით: „სასურველია სამაგისტრო ნაშრომების დაცვის ხარისხის ამაღლება და საწყის ეტაპზე განსაკუთრებით ღირებული, მომავალში კი ყველა ნაშრომის გამოქვეყნებაზე ორიენტირება“, დაწესებულებამ ადმინისტრაციულ ღონისძიებებთან ერთად გააუმჯობესა სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობისა და დაწესებულების პერიოდულ გამოცემებში მათი ჩართულობის უზურნველყოფა და წახალისება.

მეორე ნაწილთან დაკავშირებით, 2020 წელს, სამართლის ახალი დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების შემდგომ, განახლებიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების გადაწყობა. შედეგად, რეაკრედიტაციისთვის წარმოსადგენ სამართლის სამაგისტრო პროგრამაში კვლავ განხორციელდა ცვლილებები. წარმოდგენილ პროგრამაში მოქნილი და მკაფიო გახდა მოდულების მიხედვით სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების დაყოფა, ჩანაცვლდა, დაემატა და ამოღებული იქნა ცალკეული სასწავლო კომპონენტები, პრაქტიკული კომპონენტი ჩამოყალიბდა იურიდიული კლინიკის სახით და მოდიფიცირებული იქნა სასწავლო კურსი „აკადემიური წერა იურისტებისათვის“, რომელიც ჩამოყალიბდა „აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები“-ს სახით.დაწესებულებას პირველადი აკრედიტაციის შედეგად განსაზღვრული რეკომენდაციები არსებითად გათვალისწინებული და ასახული აქვს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში.

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია სამართლის დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების მიხედვით. განსაკუთრებით აღნიშვნას იმსახურებს პროგრამაში სწავლის შედეგების ცალკეული მოდულების მიხედვით ჩამოყალიბება. მოდულები შედგება სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისაგან. სავალდებულო კომპონენტები ორიენტირებული არიან დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის უზრუნველყოფაზე და ცალკეული სასწავლო კურსების შინაარსის ანალიზის გზით ვლინდება, რომ პრაქტიკული კომპონენტი სამი სახის კლინიკით არის უზრუნველყოფილი. პროგრამის სტრუქტურის მე-11 მუხლის „E“ ნაწილი დათმობილია პრაქტიკული კომპონენტისთვის (პრაქტიკული სამართლის კლინიკა 12 ESTC, იურიდიული კლინიკა (სპეციალური) 9 ESTC და იურიდიული კლინიკა (კონსოლიდირებული) 18 ESTC. იურიდიული კლინიკა მიზნად ისახავს სტუდენტში სამართლებრივი აზროვნების, სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, პროფესიული მეტყველებისა და სხვა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და ამრიგად, მაღალი კვალიფიკაციის იურისტის ჩამოყალიბებას. იურიდიული კლინიკა წარმოადგენს სამართლებრივი დახმარებისა თუ სხვადასხვა პროფესიული პრაქტიკის ერთობლიობას, რომლის ამოცანაა, ერთი მხრივ, ასეთი საჭიროების მქონე პირთა სამართლებრივი მხარდაჭერა და მეორე მხრივ, სტუდენტის გამდიდრება რეალური და პრაქტიკული პროფესიული გამოცდილებით. მისი ძირითადი მიზანია სტუდენტის დაოსტატება პრაქტიკული უნარ-ჩვევებით. ბენეფიციართა მიმართ იურიდიული კლინიკა შეიძლება ხორციელდებოდეს როგორც სასყიდლიან, ისე უსასყიდლო საწყისებზე იურიდიული მომსახურების სხვადასხვა სფეროში და მისი დატვირთვის სიმძიმის მიხედვით, იგი აგებულია ან 9-კრედიტიანი და ან 18-კრედიტიანი მოცულობით. პროგრამის მიხედვით, იურიდიული კლინიკა შეიძლება განხორციელდეს როგორც უნივერსიტეტის ბაზაზე, ისე სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში, იურიდიულ (საადვოკატო) ბიუროებში, საჯარო დაწესებულებებში, აგრეთვე იურიდიული პროფილის არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში. თავის მხრივ, სტუდენტს, რომელიც მუშაობს იურისტის სპეციალობით, რასაც იგი ადასტურებს სამსახურებრივი ცნობით დამსაქმებლისა და მისი უშუალო სამუშაო ფუნქციების შესახებ, კლინიკური სწავლების დირექტორის ნებართვით, შეუძლია, გააკეთოს არჩევანი იურიდიულ კლინიკასა/კლინიკებსა და საჯარო სამართლის, კერძო სამართლის ან/და სისხლის სამართლის მოდულის არჩევით სასწავლო კურსებს შორის და ასე დააგროვოს 18 კრედიტი პრაქტიკული სამართლის კლინიკასთან (12 კრედიტი) ერთად, რაც სულ შეადგენს 30 კრედიტს. მე-11 დანართით წარმოდგენილია მემორანდუმები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას პარტნიორ ორგანიზაციებში სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ. წარმოდგენილია მემორანდუმები ისეთ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისის საქალაქო სასამართლო, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, სსიპ - იუსტიციის სასწავლო ცენტრი, პარლამენტის აპარატი, სახალხო დამცველის აპარატი, სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია, საჯარო სამსახურის ბიურო, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „ჩემი ადვოკატი", იურიდიულ კომპანია „ცანავა და პარტნიორები" და სხვ. სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული მემორანდუმები მოიცავენ პროგრამით შეთავაზებულ მოდულებს (საჯარო, კერძო და სისხლის) და სტუდენტის სავარაუდო რაოდენობის გარდა, ითვალისწინებენ სამართლის დარგობრივი მახასიათებლით და აკრედიტაციის 2.4 სტანდარტის მოთხოვნებს. მემორანდუმებში სავარაუდო რაოდენობის ნაცვლად, გაწერილია პირობა, მსურველ სტუდენტთა შერჩევის, სიის შედგენისა და პარტნიორი ორგანიზაციისთვის გადაცემის შესახებ, რაც სრულიად განსხვავებული გარემოებაა, რაც სტუდენტის ამა თუ იმ დაწესებულებაში, პრაქტიკული კომპონენტის სწავლის მიზნით, ვერ მოხვედრის შესაძლებლობას ტოვებს.

პროგრამა შეიცავს სავალდებულო კვლევით კომპონენტს „სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვას, რომლისთვისაც განსაზღვრულია 30 ECTS. მოცემული კომპონენტის განხორციელება რეგულირდება სპეციალურად ამ მიზნისთვის შემუშავებული „სამართლის სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესით". სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და მისი საჯარო დაცვის მიზანია სტუდენტს ჩამოუყალიბოს სამართლის სფეროში კვლევის დამოუკიდებელად განხორციელების, მიღწეული შედეგების წარმოჩენისა და საკუთარი მსჯელობის საჯაროდ არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი. ზემოთ აღნიშნული წესი დეტალურად განსაზღვრავს კვლევითი კომპონენტის, სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან (ნაშრომის ტექნიკური პარამეტრების ჩათვლით), დაცვასთან და შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

დაწესებულებას გააჩნია დიდ გამოცდილება სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების ორგანიზებაში. მასპინძლობას და სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობას სხვადასხვა სამეცნიერო/კვლევით ღონისძიებებში. ასე მაგალითად: ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტებს შორის, პროგრამის „Netzwerk Ost-West" ფარგლებში 1996 წელს საფუძველი ჩაეყარა სტუდენტთა გაცვლით იურიდიულ სემინარ– კონფერენციას, რომლის ხანგრძლივობა ორ კვირას შეადგენს. სემინარის პირველი ნაწილი ტარდება თბილისში, მეორე ნაწილი კი ბერლინში; იურიდიული ფაკულტეტზე სემესტრულად იმართება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისათვის; იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა 2015 წლის შემოდგომის სემესტრიდან დღემდე, ყოველსემესტრულად (ყოველ სასწავლო წელიწადში ორჯერ), აქტიურად ატარებს სტუდენტურ კონფერენციებს. ასევე საინტერესოა ფაკულტეტის ბეჭდური გამოცემები: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის ორენოვანი, საერთაშორისო სარედაქციო კოლეგიის მქონე პერიოდული გამოცემა „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული", იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი - „თსუ სამართლის მიმოხილვა", იურიდიული

ფაკულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების პერიოდული გამოცემა - „სისხლის სამართლის ჟურნალი“, რომლებშიც სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების შესაძლებლობა აქვთ სამივე საფეხურის სტუდენტებს.

პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემები და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შესახებ მიღებული ინფორმაცია, ცხადყოფს რომ სტუდენტის პრაქტიკული თუ კვლევითი ხასიათის პროექტებში მონაწილეობისას ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირები, რომელთაც შეუძლიათ სტუდენტის საქმიანობის შეფასება და განმავითარებელი რეკომენდაციების მიცემა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- „სამართლის სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი“;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები და ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო კვლევითი აქტივობების შესახებ მონაცემები;
- პროგრამის პრაქტიკული სასწავლო პროგრამის (კლინიკის) ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- სამეცნიერო-კვლევითი პროექტი [https://www.tsu.ge/ge/faculties/law/news/Q1p5OCN9F5-4- bNSY/?p=27];
- სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის შესახებ მონაცემები;
- „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა. წელიწდეული“ - http://ncadr.tsu.ge/geo/4/resursebi/publikaciebi

რეკომენდაციები:

1. პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მემორანდუმის სრულყოფა, კერძოდ არ არის განსაზღვრული სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, რაც დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად სავალდებულო მოთხოვნაა, აღნიშნული ვალდებულება დადებული მემორანდუმების მიხედვით შემოიფარგლება მსურველი სტუდენტის შერჩევით და შესაბამისი სიის პარტნიორი ორგანიზაციისთვის გაგზავნით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო/სამაგისტრო საფეხურის მიმართ შემუშავებულია და მოქმედებს დარგობრივი მახასიათებლების მიერ განსაზღვრული სარეკომენდაციო მოთხოვნები (4.1. ნაწილი), რომლის თანახმად სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული უნდა იყოს, კურსით დაგეგმილი მიზნების მიღწევის, სტუდენტზე ორიენტირებული, მეთოდები/გზები, რომლებიც უნდა შესაბამებოდეს სწავლების საფეხურს, კონკრეტული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. გარდა ამისა, სწავლა-სწავლების მეთოდები ორიენტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზეც.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 ნაწილი დათმობილია სწავლება-სწავლის მეთოდების აღწერას. სწავლებისთვის გამოიყენება ისეთი მეთოდები და აქტივობები, როგორიცაა: ლექცია, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა და სხვ. პროგრამით განსაზღვრულია, რომ თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. სწავლების მეთოდების შერჩევისას გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს. აქტივობების სახით სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

სამართლის დარგობრივი მახასიათებლების, საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის სილაბუსების შინაარსის, სწავლება-სწავლის მეთოდების, თემატიკის

აქტივობებისა და მეთოდების შედარების, სასწავლო პროცესში ჩართულ და დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს გზით იკვეთება, რომ პერსონალის მიერ გამოყენებულია, უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისთვის ვალიდური, ღრმა, სისტემური და ანალიტიკური ცოდნის და უნარების უზრუნველმყოფელი მეთოდები, დაცულია სასწავლო კურსის თავისებურებები/სპეციფიკა (თეორიული და პრაქტიკული ხასიათი), თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე, მაგისტრატურის საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

დაწესებულებას გააჩნია დიდი გამოცდილება და პრაქტიკა სტუდენტთა მხარდაჭერის უზრუნველყოფისათვის. იურიდიულ ფაკულტეტზე, თითოეული სტუდენტი ახორციელებს საკუთარი ინდივიდუალური ცხრილის ფორმირებას (ირჩევს დისციპლინას, ნაკადს, დროს, სემინარის ხელმძღვანელს და ა.შ.). აკადემიური რეგისტრაციის დროს, საგნების არჩევა ხდება lms.tsu.ge-ის ბაზის მეშვეობით. პროგრამის მოთხოვნების მიხედვით, სტუდენტები ირჩევენ იმ სავალდებულო საგნებს, რომელთა წინაპირობებსაც აკმაყოფილებენ, და ასევე, არჩევით საგნებს, სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით. Lms.tsu.ge-ის პლატფორმის ბაზაში, კორესპონდენციის მეშვეობით, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს მიიღოს ინფორმაციული მხარდაჭერა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ან სტუდენტთა მომსახურების ჯგუფის თანამშრომლებისაგან. თითოეული სტუდენტი პროგრამის მოთხოვნების ფარგლებში სარგებლობს არჩევანის თავისუფლებით, რათა მოახდინოს სასურველი ინდივიდუალური ცხრილის შედგენა. გარკვეული პრობლემების არსებობის შემთხვევაში, ამ უფლების განხორციელებაში მას ეხმარება ფაკულტეტის თანამშრომელი.

დაწესებულების ადმინისტრაციულ, დამხმარე და აკადემიურ პერსონალს აქვს გამოცდილება მოქნილად მიუსადაგონ ინდივიდუალური საჭიროების მქონე სტუდენტებს სწავლება-სწავლის მეთოდები, საჭიროებისას შეიმუშაონ და განახორციელონ სემესტრული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. მიუხედავად არსებული პრაქტიკისა, ფორმალურ დონეზე არასაკმარისად არის ჩამოყალიბებული ინდივიდუალური საჭიროების სტუდენტებისთვის ინდივიდუალური პროგრამის შედგენის მკაფიო და დეტალური წესები. შიდა საუნივერსიტეტო თუ საფაკულტეტო მარეგულირებელ აქტებში არ იძებნება ინფორმაცია როგორ წესრიგდება აღნიშნული საკითხი და პერსონალი მოქმედებს ჩამოყალიბებული პრაქტიკის შესაბამისად.

უცხოელი სტუდენტების სიმწირის გამო არ არსებობს შესაბამისი კულტურულ და/ან სხვა საჭიროებების სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდების ჩამოყალიბების პირობების უზრუნველყოფის აუცილებლობა, თუმცა აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოცდილება და საერთაშორისო აქტივობები, იძლევა იმის სარწმუნო განცდას, რომ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი მარტივად შეძლებს ასეთი სტუდენტების კულტურული და/ან სხვა საჭიროებების სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდების ჩამოყალიბებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები;

- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- სასწავლო პროცესში ჩართულ პირებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით სტუდენტების ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად ინდივიდუალური პროგრამების შედგენის არსებული პრაქტიკის წესების სახით მკაფიოდ და ცხადად ჩამოყალიბება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის შეფასების მიმართ ძირითადი მოთხოვნები განისაზღვრება დარგობრივი მახასიათებლების 4.3. და 4.4. პუნქტებით. პირველი მოთხოვნა ითვალისწინებს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შეფასების შესაბამისობას ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის № 3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასების სისტემასთან. ხოლო, მეორე მოთხოვნა განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის გეგმით/სილაბუსით/მოდულით გათვალისწინებული შეფასების ფორმები (შუალედური და დასკვნითი შეფასება) შესაძლოა მოიცავდეს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხებს.

პროგრამაში გათვალისწინებული სტუდენტის შეფასების სისტემის რეგულაციურ ჩარჩოს ქმნის დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის „ივანე

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ № 77 დადგენილება. საგანმანათლებლო პროგრამის მე-5 მუხლი მოიცავს სტუდენტის ცოდნის შეფასების ზოგადი ფარგლების აღწერას/სისტემას. აღნიშნული სისტემის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი არის პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული მოთხოვნების გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრულია, რომ სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში ითვალისწინებს სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას და ეფუძნება შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს. პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების შუალედური (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნითი შეფასების ფორმებს, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). პროგრამის შეფასების სისტემის შესაბამისად „შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.“ პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში, რაც ხორციელდება დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვის ელეტრონული სისტემის - lms.tsu.ge-ს და აკადემიური პერსონალის მიერ.

პროგრამის შემადგენელი თითოეული სასწავლო კურსი, სილაბუსის მიხედვით უზურნველყოფილია სტუდენტის შეფასების ინდივიდუალური მეთოდებით, ხერხებით, აქტივობებით და კრიტერიუმებით. სასწავლო კურსის თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათის, შინაარსის, სწავლების-სწავლის და შეფასების გზების გათვალისწინებით, ვლინდება, რომ აკადემიური პერსონალი (მათ შორის მოწვეული პერსონალი) უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტებისა და მეთოდების შესაბამისობას ამ კურსის სწავლის შედეგებთან.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს წარმოადგენენ მრავალწლიანი გამოცდილების, მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგებს, რომლებიც რეგულარულად მონაწილეობენ სამეცნიერო/კვლევით, ტრენინგებსა და სემინარებში, რომლებიც ორგანიზებულია დამსაქმებლის ან პარტნიორი დაწესებულებების მიერ.

სტუდენტის სასწავლო კომპონენტში დასკვნითი შეფასების მიზნით დაწესებულებაში შექმნილია და თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის სხდომაზე (ოქმი N20) დამტკიცებული დებულებით მოქმედებს

საგამოცდო ცენტრი. ცენტრი დებულების თანახმად უზრუნველყოფს შეფასების პროცედურის გამჭვირვალობას, ობიექტურობას და სტუდენტის მაქსიმალურ ინფორმირებულობას. დებაულება დეტალურად არეგულირებს შეფასების გასაჩივრების წესს, რითაც უმეტესწილად უზურნველყოფილია სტუდენტის ინტერესი მიიღოს უკუკავშირი სწავლის შედეგებზე, ინფორმაცია საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა და შედეგების გაუმჯობესების შესახებ.

პროგრამის განსაკუთრებულ ნაწილს შეადგენს სამაგისტრო ნაშრომის შეფასება. აღნიშნული საკითხი რეგულირდება „სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი-თ“, რომლის მე-7 მუხლი მკაფიოდ აყალიბებს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების პროცესს და კრიტერიუმებს. ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული მოთხოვნების გათვალისწინებით განსაზღვრულია, რომ სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი 100 ქულიანი შეფასებით. 100 ქულიანი შეფასება დაყოფილია სამ ნაწილად: სამაგისტრო ნაშრომის (, პრეზენტაციის და დისკუსიაში მონაწილეობის შეფასებებად, რომელიც თავის მხრივ ჩაშლილია კრიტერიუმებად, რა საშუალებას აძლევს შემფასებელს ზუსტად განსაზღვროს ნაშრომის შესრულების ხარისხი და სტუდენტის ცოდნის და პრეზენტაბელურობის დონე. აღნიშნული წესის მე-6 მუხლი აწესრიგებს სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვას. კერძოდ, განსაზღვრულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვა ხორციელდება ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების სპეციალური კომისიის წინაშე. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა წარმოებს დასკვნითი გამოცდის სახით საჯაროდ, რომლის მსვლელობისას მაგისტრანტი წარმოაჩენს ნაშრომში განხორციელებული სამეცნიერო-კვლევის შედეგებს. დასკვნით გამოცდაზე/დაცვაზე თითოეული მაგისტრანტი გამოიცდება ინდივიდუალურად. ამასთან, გამოცდის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს. დასკვნითი გამოცდის/დაცვის პროცესი ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, კამათს და სპეციალური კომისიის დასკვანას. სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციისას მაგისტრანტმა უნდა გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა: მაგალითად, სლაიდები, პლაკატები, ვიდეო-კინო გასაშვები ტექნიკა. ნაშრომის პრეზენტაციის შემდეგ იმართება კამათი, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს. მაგისტრანტი უპასუხებს სპეციალური კომისიის წევრთა მიერ დასმულ შეკითხვებს. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს დაესწროს სამაგისტრო ნაშრომის დაცვასა და ჩაერთოს მის ირგვლივ გამართულ დისკუსიაში. სამაგისტრო ნაშრომის შესაფასებლად სპეციალური კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ დასკვნით სხდომაზე. ზეპირი დასკვნითი გამოცდის/დაცვის საბოლოო ქულა განისაზღვრება მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი სპეციალური კომისიის წევრთა რაოდენობაზე). სამაგისტრო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში მაგისტრანტი დამატებით სემესტრში გადის სემესტრულ ადმინისტრაციულ რეგისტრაციას და ეძლევა ახალ სამაგისტრო თემაზე შესრულებული ნაშრომის წარმოდგენის უფლება. გარდა დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასებისა, სამაგისტრო ნაშრომის უარყოფითად შეფასების საფუძველია: ა. საჯარო დაცვაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა; ბ. საჯარო დაცვაზე გამოცხადების შემდგომ

უარის თქმა მის დაცვაზე; გ. აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამოვლენა; დ. საჯარო დაცვის ჩაშლის მცდელობა ან მისი ჩატარების განაწესის დარღვევა; ე. შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური თუ ფსიქიკური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობით ან სხვა დაუშვებელი ხერხებით. ამავე წესის მე-7 მუხლის მე-15 პუნქტი განსაზღვრავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის სახეები, ხოლო მე-9 მუხლი უშვებს ასევე მის ბათილობასაც. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ სასურველია შეფასების გაცნობის მექანიზმი დაიხვეწოს და ხელმისაწვდომი გახდეს სტუდენტისთვის. ხაზგასმით აღინიშნა, რომ არ არის საკმარისი მხოლოდ საბოლოო ქულის გამოცხადება. აუცილებელია სტუდენტს ქონდეს ინფორმაცია სუსტი, განსავითარებელი ასპექტების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მომავალში კურსდამთავრებულის კვლევით საქმიანობას, სწავლის სადოქტორო პროგრამაზე გაგრძელებაში და ზოგადად მის კონკურენტუნარიანობას.

სააკრედიტაციო განაცხადის თანდართული მასალებიდან (თსუ იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2014-2019 წლის ანგარიშები - დანართი 10) და თვითშეფასებაში მოყვანილი სტატისტიკიდან ირკვევა, რომ დაწესებულება რეგულარულად ატარებს შეფასების სისტემის მონიტორინგს და შეფასებას, რაც იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სტანდარტის მოთხოვნის თანხმად ხორციელდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსუ აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის დადგენილება № 77 „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“;
- თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის სხდომაზე (ოქმი N20) დამტკიცებული „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის დებულება“;
- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ბი და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია - დანართი 16;
- ელექტრონული პორტალი: Lms.tsu.ge.
- სასწავლო კურსების შეფასების შედეგების ანალიზის დოკუმენტი;
- თსუ იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2014-2019 წლის ანგარიშები - დანართი 10;
- სასწავლო პროცესში ჩართულ პირებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის 1. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გამჭვირვალობის გაუმჯობესება, მიზანშეწონილია შემფასებლის მექანიზმის შემუშავება და დანერგვა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თსუ-ს ვებვერდზე - www.tsu.ge საჯაროდ განთავსებულია პროგრამის აღწერილობა სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესახებ. უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს ელექტრონული სისტემა www.lms.ge რომელის მეშვეობით სტუდენტებს შეუძლიათ შეადგინონ ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა, მიიღონ ინფორმაცია, დაწერონ განცხადება გასაჩივრების შესახებ და მოაგვარონ საორგანიზაციო საკითხები. ფაკულტეტის დეკანი, მოადგილეები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და ლექტორები სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების შესახებ და უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ, უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა მომსახურების ცენტი, ასევე კარიერული მხარდაჭერის ცენტრი, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების დასაქმებას და ეხმარება მათ კარიერის დაგეგმვაში, მათი მომსახურებით კმაყოფილია სტუდენტების 64.7 %, რომლებსაც უსარგებლიათ ამ ცენტრის მომსახურებით, სტუდენტები რეგულარულად იღებ მონაწილეობს საქართველოს მასშტაბით გამართულ იმიტირებულ პროცესებში, პროექტებში, კვლევებში და კონფერენციებში. თსუ-ში ყოველსემესტრულად ტარდება კონფერენციები. სტუდენტური თვითმართველობის დახმარებით ტარდება საჯარო ლექციები და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები. თსუ საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი გამორჩეულია ინტერნაციონალიზაციის კუთხით, რაც წამყვანი ქვეყნების უნივერსიტეტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში გამოიხატება, ამ კონტაქტების დახმარებით სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო იმიტირებულ პროექტებში, კონფერენციებში და პროექტებში, ისარგებლონ მობილობით. ამ ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას სტუდენტები ვებგვერდის, ელექტრონული სისტემაში შეტყობინებებით და ფაკულტეტის ადმინისტრაციისგან იღებენ. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განვითარებისთვის მოქმედებს ჟურნალი. ,,თსუ სამართლის მიმოხილვა“ ასევე მოქმედებ კერძო სამართლის ინსტიტუტი და თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, რომლებიც პერიოდულად გამოსცემენ სამეცნიერო ჟურნალს. აღსანიშნავია ასევე ,,სისხლის სამართლის ჟურნალი“ და ,,ადამიანთა უფლებათა ყოველწლიური კრებული“, ზემო აღნიშნული ჟურნალების ერთობა სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მდგრადობის ერთ-ერთი მთავარი გარანტია. უნივერისტეტში მოქმედი გასაჩივრების სისტემასთან დაკავშირებით სტუდენტებს

აქვთ არაერთგვაროვანი შეხედულება. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა გამოკვეთეს გასაჩივრების რთული ასპექტები, რაც უარყოფითად აისახება სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულობაზე. კერძოდ, მათ აღნიშნეს, რომ მოუხერხებელია ნაშრომის გასასაჩივრებლად სიარული მაღლივ კორპუსში. მიუხედავად იმისა, რომ გასაჩივრების შესახებ განცხადება ელექტრონულად იწერება, ნაშრომის სანახავად სტუდენტებს მაღლივ კორპუსში უწევთ სიარული, რაც ზოგჯერ სტუდენტს სასწავლო პროცესში პასიური მონაწილეობის საფუძველი ხდება (ESG2015).

აკადემიური თანამდებობრივი სარგოს და დანამატების წესი განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებით № 112/2013, სადაც მითითებულია, რომ დანამატის გაცემის ერთ-ერთი წინაპირობაა საკონსულტაციო საათების ჩატარება. საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია მოცემულია სილაბუსებში და მითითებულია ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია.

სამართლის ფაკულტეტს გააჩნია კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია აუცილებელი მატერიალური და ტექნიკური ინვენტარით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ვებგვერდი www.tsu.ge
- ელექტრონული სისტემა www.lms.ge
- თსუ-ს წესდება;
- ინტერციუდების შედეგები;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამის კატალოგი - https://www.tsu.ge/ka/faculty/%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98/programs/223
- იურიდიული ფაკულტეტის დებულება;
- სილაბუსები;
- აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სტუდნეტური პუბლიკაციების ამსახველი ჟურნალი https://www.tsu.ge/ge/faculties/law/go8knyzegtrnhgfke/grmdy0f2x6gf_8xqy/tsusammim
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №112/2013;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. მიზანშეწონილია გამარტივდეს სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმი, რაც სტუდენტებს ხელს შეუწყობს აქტიურად ჩაერთოთ სასწავლო პროცესში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის მაგისტრატურის თითოეულ სტუდენტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში ერთი ან მეტი თანახელმძღვანელი, რომელსაც აქვთ საკვლევი თემის შესაბამისი გამოცდილება, მათი გამოცდილება დასტურდება მათი ნაშრომებით, გამოქვეყნებული სტატიებით, გამოცემული წიგნებით და პრაქტიკული საქმიანობით (პირადი საქმეები და განხორციელებული კვლევები). ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები ასახულია მაგისტრატურის დებულებაში. სტუდენტების უმრავლესობა ხელმძღვანელთან კომუნიკაციისთვის იყენებენ ელექტრონულ ფოსტას, ასევე მობილურ ტელეფონს და ინტერნეტს. აკადემიური თანამდებობრივი სარგოს და დანამატების წესი განსაზღვრულია აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებით № 112/2013, სადაც მითითებულია, რომ დანამატის გაცემის ერთ-ერთი წინაპირობაა საკონსულტაციო საათების ჩატარება. საკონსულტაციო საათებზე სტუდენტები უშუალოდ უთანხმდებიან ხელმძღვანელებს. თსუ-ში 200-ზე მეტი საგრანტო პროექტია დაფინანსებული, რაც სტუდენტებს ხელს უწყობს შეასრულონ მაღალი ხარისხის სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები. ინტერვიუს შედეგად სტუდენტების უმრავლესობის განცხადებით ხელმძღვანელები ინიციატივის შემთხვევაში კვალიფიციურ კონსულტაციას უწევენ და ეხმარებიან მათი სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელის ინტეგრირებაში. სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებისთვის სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე ისწავლება სასწავლო კურსი აკადემიური წერა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • მაგისტრატურის ხელმღვანელების პირადი საქმეები და განხორციელებული კვლევები; • ინტერვიუს შედეგები; • მაგისტრატურის დებულება; • აკადემიური საბჭოს დადგენილება № 112/2013; • სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი; • თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სამართალმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 19 პროფესორი, 27 ასოცირებული პროფესორი, 12 ასისტენტ-პროფესორი, 27 მოწვეული ლექტორი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა არის 108. სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე ირიცხება 528 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის - პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან თანაფარდობა არის დაახლოებით 0,01 აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით არის 0,08. შესაბამისად, ეს თანაფარდობა საკმარისია პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად. აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტში სამართლის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას რაც შეადგენს 1.9. თსუ იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალიდან 1 არის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე, 4 არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, 1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, 2 თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, 2 თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, 3 საქართველოს პარლამენტის წევრი; ხოლო მოწვეული პერსონალიდან 2 მოსამართლე. აკადემიური პერსონალიდან 8-ს სადოქტორო დისერტაცია დაცული აქვს

ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში (ძირითადად გერმანიაში).

უნივერსიტეტში არსებობს „საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის სარეკომენდაციო მეთოდოლოგია და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლებიც დამტკიცებულია შესაბამისად თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის ბრძანება №05/03-ით და რეგულირებულია აკადემიური საბჭოს №119/2018 დადგენილებით.

აღსანიშნავია იურიდიული ფაკულტეტის ავტორიზაციის ერთ-ერთ სამიზნე ნიშნული, რომლითაც განისაზღვრა აკადემიური პერსონალის რაოდენობრივი ზრდა და შესაბამისად მოწვეული პერსონალის შემცირების ტენდენცია. ამ ნიშნულის მიღწევის ვადად დადგენილ იქნა 2024 წელი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიით გაცხადებული მიზანია რეგიონში ლიდერ კვლევით უნივერსიტეტად და საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცის ღირსეულ და წარმატებულ სუბიექტად ჩამოყალიბება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესების ინტეგრაცია და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ინტერნაციონალიზაცია. თსუ-ის მიზანია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების უნივერსიტეტთან ინტეგრაცია სასიკეთოდ ასახოს, როგორც სამეცნიერო-საგანმანათლებლო მიზნებისათვის, ისე უნივერსიტეტისა და თვით ამ ინსტიტუტების მომავალ საქმიანობაზე.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს კვალიფიციური ცოდნა და გამოცდილება, რათა გაუძღვეს დასახული მიზნებისა და შედეგების განხორციელებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა საკმარისია და ფარავს სამართლის სამაგისტრო პროგრამის გასახორციელებლად საჭირო მოთხოვნებს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა მოქნილია და ზრუნავს პერსონალის კეთილდღეობაზე. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მეტწილად დაკომპლექტებულიად დოქტორის ან დოქტორთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებით. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფისათვის წარმოდგენილი ბიოგრაფიებით ირკვევა, რომ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამეცნიერო თვალსაზრისით ძალიან აქტიურია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათ განხორციელებული აქვთ სამეცნიერო კვლევები და გამოქვეყნებული აქვთ ნაშრომები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის ბრძანება №05/03 „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის სარეკომენდაციო მეთოდოლოგია“ დამტკიცების შესახებ“
- აკადემიური საბჭოს დადგენილება №119/2018 „ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად მოწვეული

პერსონალის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ • დადგენილება №64/2018 - სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ; • თსუ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის N100/2019 დადგენილება „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“; • აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის N118 დადგენილება „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; • აკადემიური/მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი; • სამუშაო აღწერილობები; • ფაკულტეტის დებულება და სტრუქტურა; • ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები; • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები. • პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები; • ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობები; • ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები; • ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები. • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური,

სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უნივერსიტეტში დანერგილია და წარმატებით მუშაობს აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების, თვითშფასების და განვითარების სქემა, რომელიც ერთი მხრივ ხდება სტუდენტის მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასებას, ასევე თავად აკადემიური/მოწვეული პერსონალის თვითშეფასება, ასევე პერსონალის კმაყოფილების კვლევა. ამასთანავე, ხორციელდება სასწავლო პროცესზე დაკვირვება და ანალიზის საფუძველზე ისახება გაუმჯობესების გზები, არსებობის შემთხვევაში. შესაბამისად, შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს როგორც მათი სასწავლო ასევე კვლევითი საქმიანობის შეფასებას. უნივერსიტეტში პერსონალის შეფასების წესი განსაზღვრულია თსუ-ის აკადემიური საბჭოს 26 თებერვლის დადგენილებით №81/2018 - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ, რომლის მიხედვითაც, სამუშაოს შეფასების მიზნებია: ა) პერსონალმა ზუსტად აღიქვას ის მოლოდინები, რაც თსუ-ს მასთან მიმართებაში გააჩნია; ბ) პერსონალის საქმიანობის სისტემატური მონიტორინგი, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა; გ) პერსონალის განვითარების საჭიროებების გამოვლენა, ინდივიდუალური პოტენციალის აღმოჩენა და სწორი მიმართულებებით განვითარება; დ) შრომითი მოტივაციისა და სამუშაოთი კმაყოფილების გაზრდა; ე) დაკისრებული მოვალეობების შესრულების ხარისხის გაუმჯობესება. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია სხვადასხვა ღონისძიებებში, რომელიც ემსახურება მათი პროფესიული და პედაგოგიური უნარების განვითარებას. უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესწავლისას იკვეთება, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ისეთი ხარჯები, რომელიც მიმართულია უსდ-ს აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის ან/და მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობისათვის. კერძოდ, 2015 წელს თსუ-ის მასშტაბით არსებობს საუნივერსიტეტო დაფინანსება, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა როგორც აკადემიური პერსონალი, ისე სტუდენტები. აღნიშნული პროექტი ხორციელდებოდა ორი წლის განმავლობაში, რომელიც 2016 წლის შემდგომ ადმინისტრირებისათვის სრულად გადაეცა თსუ-ის ცენტრალურ ადმინისტრაციას. ხსენებული დაფინანსების პარალელურად, იურიდიული ფაკულტეტის

საბიუჯეტო დონეზე, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, 2015 წელს გამოყოფილ იქნა 150 000 ლარის ოდენობა, რომელიც ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, ნაწილდება ყოველწლიურად. აღნიშნული დაფინანსების მოპოვება ხდება ერთი ან რამდენიმე აკადემიური პერსონალის მიერ შემუშავებული პროექტის ფაკულტეტის საბჭოზე წარდგენითა და ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების გზით. იურიდიული ფაკულტეტის საბჭოს, თანაბარი მოპყრობის პრინციპის გათვალისწინებით, მოცემული თანხის განაწილებისას ხელმძღვანელობს ფაკულტეტზე არსებული მიმართულებათა რაოდენობით, რომელიც სულ 7 ერთეულს შეადგენს. აქვე აღსანიშნავია, რომ იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაცია თსუ-ის ადმინისტრაციის მხარდაჭერითა და ხელშეწყობით ყოველწლიურად ზრდის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი დაფინანსებისთვის გამოყოფილ სახსრებს, რაც დადებითად აისახება მიღებულ შედეგებზე. კერძოდ, 2020 წლისათვის, ე.წ. საგრანტო ბიუჯეტმა გადააჭარბა 400 000 ლარს. ზემოაღნიშნული დაფინანსების ფარგლებში, იურიდიულ ფაკულტეტზე შეიქმნა და გამოქვეყნდა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი თუ სახელმძღვანელო.

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალიდან პროფესიული განვითარების მიზნით უმრავლესობას აქვს სხვადსხვა საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და სემინარებში მონაწილეობის მაღალი მაჩვენებელი, რაც დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის, როგორც პირადი საქმეებით, ისე მათთან ინტერვიუების პროცესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმი. უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე, ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დოკუმენტაცია;
- ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები;
- შიდა საგრანტო პროექტების დამტკიცების ბრძანებები და ფაკულ;ტეტის საბჭოს გადაწყვეტილებები;
- შიდა საგრანტო პროექტების შედეგად გამოქვეყნებული ნაშრომები;
- ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და ინტერნაციონალიზაციის სამსახურის მიერ შედგენილი აკადემიური პერსონალის ყოველწლიური სამეცნიერო ანგარიშები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები.
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და მისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა (სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, კომპიუტერული რესურს–ცენტრები, იმიტირებული სასამართლოს დარბაზი და სხვ.) უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას ემსახურება და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და შედეგებს.

2018 წელს გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში დაიწყო თსუ-ის მეორე აკადემიური კორპუსის რემონტი, რომელიც სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელების ძირითად კორპუსს წარმოადგენს. სარემონტო სამუშაობები აქტიურად მიმდინარეობს. მეორე აკადემიური კორპუსი სრულად რეაბილიტირებული იქნება 2021 წლის ბოლოსათვის. რემონტის მიმდინარეობის პროცესში უკვე განახლდა ფასადი, სველი წერტილები, გათბობის სისტემა, კარ-ფანჯარა და სახურავი. ამჟამად მიმდინარეობს სხვა შიდა სამუშაოებები.

პროგრამის განხორციელებას ემსახურება ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, რომელშიც ხელმისაწვდომია სხვადასხვა სამეცნიერო ბაზები. პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

თსუ იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკიდან შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ ბაზებზე წვდომა: LexisNexis, Hein Online და Beck Online-თან. ასევე ათეულობით სხვა გამოცემები, რომელთა შესახებ ინფორმაცია განთავსებულია თსუ ვებგვერდზე:

https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/zuzzv1vvedy6z0dmj/vrqldp6grtduuumm8// .

ვიზიტის მსვლელობისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტები და პერსონალი ვერ სარგებლობს საკანონდებლო მაცნის რესურსებით, განსაკუთრებით კი კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან მიმართებით, რომლის კოდიფიცირებულ ვერსიებთან წვდომას სჭირდება ავტორიზაცია. სასურველია ეს საკითხი დარეგულირდეს ისე, რომ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს და პერსონალს ჰქონდეთ საკანონმდებლო ბაზასთან წვდომა. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს ისეთი ვერსია, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტების და პერსონალს ისარგებლოს ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე გარედან მითუმეტეს დისტანციური სწავლების პირობებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- ფაქტობრივი მდგომარეობა;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
- წიგნადი ფონდი;
- ელექტრონული მონაცემთა ბაზები:
  LexisNexis – http://www.lexisnexis.com/us/lnacademic
  Hein Online – http://heinonline.org
  Beck Online – http://beck-online.beck.de
- თსუ ვებგვერდი;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს (შეიძინოს) საკანონმდებლო მაცნეს ვერსია, რომელიც საშუალებას მისცემს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტების ისარგებლოს ვებ-გვერდის სერვისებით, როგორც უნივერსიტეტიდან, ისე გარედან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება იურიდიული ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც თსუ–ის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილია. სწორედ საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

თსუ–ის ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო თანამდებობასთან კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით არჩეული აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელის წარდგინებით მოწვეული პერსონალის (დოქტორები, მეცნიერ–მკვლევარები, პრაქტიკოსები, მასწავლებლები) პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართვის სტაბილურობას უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულების პირობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსუ-ის ბიუჯეტი;
- იურიდიული ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის სააკრედიტაციო ვიზიტის დროს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას და ამ მიზნით იყენებს ხარისხის მართვის ისეთ ინსტრუმენტებს, მაგალითად როგორიცაა სტუდენტების და აკადემიური პერსონალის შეფასება, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას ახდენს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შემუშავებული და დამტკიცებული ფორმებისა და კრიტერიუმების/ინდიკატორების მიხედვით, რისშესახებაც დგება პროგრამის ანგარიში. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების/ინდიკატორების მიხედვით: მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და კრედიტების მოცულობის შესაბამისობა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან, კრედიტების განაწილების შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქციასთან, პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათების მკაფიოობა, შესაბამისობა პროგრამის მიზანსა და სწავლის შედეგებს შორის, დასაქმების სფეროების შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან, პროგრამაზე დაშვების წინაპირობის მკაფიოობა, სწავლების მეთოდების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შესაბამისობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესთან, კრედიტების მოცულობის, სასწავლო გეგმაში მოცემული ინფორმაციის სისრულე, წარმოდგენილი სილაბუსების სისრულე, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების/კოორდინატორისა და პერსონალის კვალიფიკაცია, პროგრამის მონაწილე პერსონალის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულე, პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები, არჩევითი საგნების რაოდენობა, სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა, სასწავლო პრაქტიკის ბაზა, ფინანსური უზრუნველყოფა, მისაღები კონტიგენტის შესახებ ინფორმაციის სისრულე, სწავლის გაგრძელების საშუალება, პროგრამის შემუშავების პროცესის საჯაროობა და სხვ.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები და აკადემიური და

მოწვეული პერსონალი. მათი გამოკითხვა ხდება სპეციალურად შემუშავებული კითხვარების საშუალებით. როგორ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა პროგრამის მომზადებისას გამოვლენილი ხარვეზები გაანალიზებულ იქნება პროგრამის ხელმძღვანელთან/კოორდინატორთან და ფაკულტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, რომლის შემდგომაც ანალიზის შედეგები დაინერგება/განხორციელდება მისი სამომავლო მონიტორინგისა და განვითარების პერსპექტივით. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენისას გამოვლენილი ხარვეზებზე მუშაობის მაგალითია 2017 წლის ნოემბერსა და 2019 წლის ოქტომბერში სამართლის სამაგისტრო პროგრამის განმავითარებელი სააკრედიციო ვიზიტები, რომელიც განხორციელდა უცხოელი ექსპერტების ხელმძღვანელობითა და ჩართულობით და მის შედეგად წარმოდგენილ შენიშვნებზე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კოორდინირებული მუშაობა, რომლის შედეგადაც შესრულდა წარმოდგენილი შენიშვნების ანალიზი და მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული. ეს დადასტურდა ინტერვიუს დროსაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თსუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №100/2019 დადგენილებით „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმარების, შემუშვების, შეფასებისა და განვითარების პროცედურის დამტკიცების შესახებ“; • სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2018 წლის 16 მარტის №06/03 ბრძანება; • პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის შემადგენლობა და ოქმები; • იურიდიულ ფაკულტეტზე არსებულ მიმართულებებთან შეხვედრის ოქმები; • სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის და დამსაქმებლების გამოკითხვის კითხვარები; • 2018 წლის გამოკითხვის შედეგები და მათ საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები; • აკრედიტაციის ექსპერტთა განმავითარებელი ვიზიტის შედეგად წარმოდგენილი შეფასება/ანგარიში; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) -
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების პროცესში მონაწილეობენ ქართველი და უცხოელი (დამოუკიდებელი) ექსპერტები. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ გარე ხარისხის შეფასება აკრედიტაციის კუთხით გაიარა 2011 წელს, რის შედეგაც მიიღო აკრედიტაცია. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ იქნა შემდეგი სახის ძირითადი რეკომენდაციები: სასურველია, გაძლიერდეს ისეთი სპეცკურსები, რომლებიც მიმართული იქნება პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისკენ; სასურველია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მათ შორის იმიტირებული სასამართლო პროცესის დარბაზის გაკეთება; სასურველია, უფრო მეტი სპეციალიზაციის საგნის შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ფართო არჩევანის თავისუფლებას, მისცემს მას შესაძლებლობას, თავი აარიდოს არსებითად იდენტური შინაარსის მქონე სასწავლო კურსების გავლას და მაქსიმალურად ამოწუროს მისი ინტერესის სფეროში შემავალი საკითხები; აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების მიხედვით, ცვლილებები განიცადა პროგრამამ. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის განმავლობაში პროგრამის მიმართ გამოყენებულ გარე ხარისხის შეფასებას, კერძოდ, 2017 წლის ნოემბერში იურიდიულ ფაკულტეტზე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა სამართლის პროგრამების განმავითარებელი სააკრედიტაციო ვიზიტი. აღნიშნული გარე შეფასება დაეყრდნო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ახალი სტანდარტების პროექტს, რომელიც თითქმის უცვლელი სახით დამტკიცებულ (მიღებულ) იქნა 2018 წლის დასაწყისში.

პროგრამის განვითარების მიზნით ტარდება დასაქმების და განათლების ბაზრის კვლევა, პრაქტიკულად, ყოველწლიურად, რომლის შედეგებიც, რეკომენდაციის ფორმით, წარედგინება, ფაკულტეტის ადმინისტრაციას, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელსა და ფაკულტეტის საბჭოს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება და ოქმი; • აკრედიტაციის ექსპერტთა განმავითარებელი ვიზიტის შედეგად წარმოდგენილი 2017 წლის შეფასება/ანგარიში; • აკრედიტაციის ექსპერტთა განმავითარებელი ვიზიტის შედეგად წარმოდგენილი 2019 წლის შეფასება/ანგარიში; • დასაქმების ბაზრის კვლევა; • განათლების ბაზრის კვლევა; • სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები; • იურიდიულ ფაკულტეტზე არსებულ მიმართულებებთან შეხვედრის ოქმები; • პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმი; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგი და შეფასება პერიოდულია, რაც გამოვლინდა თვითშეფასების ანგარიშისა და განსაკუთრებით, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად. იგი ხორციელდება ყველა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაკალავრო პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები მოქნილია. პერიოდულად ტარდება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და პარტნიორების გამოკითხვა შესაბამისი კომპონენტებით კმაყოფილების შესახებ. შიდა შეფასების შედეგები ანალიზდება შიდა თვითშეფასების ანგარიშში და გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეები გადაეცემა სენატს, რომელიც, საჭიროებისამებრ, პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგიის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შესახებ. აღსანიშნავია რომ საბაკალავრო პროგრამის შინაარსის განვითარების მიზნით განხორციელდა ხარისხის გარე შეფასება. იგი, სათანადო დოკუმენტაციით, გადაეგზავნა ქართველ და უცხოელ დარგის სპეციალისტებს. მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტი აანალიზებს ამ ფორმით მიღებულ შეფასებებს. მუდმივად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა, რომლებიც შემდგომ ანალიზდება პროგრამის შედეგების სრულყოფის, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოების მიზნით. საერთო ჯამში, უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, მონიტორინგი და პერიოდული შეფასება რეალურად ხორციელდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშები; • სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; • აკრედიტაციის ექსპერტთა განმავითარებელი ვიზიტის შედეგად წარმოდგენილი 2017 წლის შეფასება/ანგარიში; • აკრედიტაციის ექსპერტთა განმავითარებელი ვიზიტის შედეგად წარმოდგენილი 2019 წლის შეფასება/ანგარიში; • დასაქმების ბაზრის კვლევა; • განათლების ბაზრის კვლევა; • სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები; • იურიდიულ ფაკულტეტზე არსებულ მიმართულებებთან შეხვედრის ოქმები; • პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომის ოქმი; • თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

ანგარიში ბარსელონას ავტონომიურ უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ; • უცხოური უნივერსიტეტის პროგრამებთან დადარების შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

სამართალი, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 53

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლევან ჯაყელი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

№	სახელი და გვარი	ხელმოწერა
1	მაკა კარტოზია	
2	ლევან მოსახლიშვილი	
3	კონსტანტინე ებრალიძე	